

ძალაში არ არის

დანართი 10-1

ჰონგ კონგ, ჩინეთის
დათქმების ცხრილი

ძალაში არ არის

სექტორი:	თევზჭერა
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	<p>თევზჭერის დაცვის განკარგულება (თავი 171)</p> <p>სავაჭრო ნაოსნობის (ადგილობრივი გემებით) შესახებ განკარგულების (თავი 548) მე-12 სექცია</p>
ღონისძიების მოკლე აღწერა:	<p>თევზჭერის დაცვის განკარგულების (თავი 171) ქვეშ სერტიფიცირებულ ადგილობრივ თევზმჭერ გემებს, რომლებსაც გააჩნიათ მოქმედი ლიცენზია სავაჭრო ნაოსნობის (ადგილობრივი გემებით) შესახებ განკარგულების (თავი 548) ქვეშ, შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ჰონგ კონგ, ჩინეთის წყლებში თევზჭერის საქმიანობაში ჩასართავად. ჰონგ კონგ, ჩინეთის წყლებში არაადგილობრივი თევზმჭერი გემებით თევზაობა აკრძალულია.</p> <p>სავაჭრო ნაოსნობის (ადგილობრივი გემებით) შესახებ განკარგულების (თავი 548) თანახმად, სავალდებულოა თევზმჭერი გემების სერტიფიცირება. ჰონგ კონგ, ჩინეთის წყლებში მცურავ III კლასის ადგილობრივ „თევზმჭერ გემად“ სერტიფიცირებისთვის, თუ გემის მესაკუთრე პიროვნებაა, ეს პიროვნება უნდა ფლობდეს ჰონგ კონგ, ჩინეთის მოქმედ საიდენტიფიკაციო ბარათს და იყოს ჰონგ კონგ, ჩინეთის ჩვეულებრივი რეზიდენტი.</p>
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	<p>ჰონგ კონგ, ჩინეთში ამოწურვადი თევზჭერის რესურსების შენარჩუნება ჰონგ კონგ, ჩინეთის წყლებში მოქმედი თევზჭერის ფლოტების ზომის კონტროლით.</p>

ძალაში არ არის

სექტორი:	დაბეგვრას დაქვემდებარებული საქონლის წარმოება და შენახვა
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	დაბეგვრას დაქვემდებარებული საქონლის შესახებ ბრძანებულების (თავი109) 7 და 8A სექციები. დაბეგვრას დაქვემდებარებული საქონლის შესახებ ბრძანებულების (თავი109A) 22-ე რეგულაცია
ღონისძიების მოკლე აღწერა:	დაბეგვრას დაქვემდებარებული საქონლის შესახებ ბრძანებულების (თავი109) თანახმად, დაბეგვრას დაქვემდებარებული საქონლის წარმოებისა და შენახვის ლიცენზიისათვის განაცხადის გასაკეთებლად, განმცხადებელმა უნდა დანიშნოს დაკავშირებული შენობა-ნაგებობების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს ჰონგ კონგ, ჩინეთის რეზიდენტი ჰონგ კონგ, ჩინეთის მოქმედი საიდენტიფიკაციო ბარათით.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	აქციზის კონტროლისა და შემოსავლების დაცვის ეფექტური აღსრულების უზრუნველყოფა.

ძალაში არ არის

სექტორი:	ოპტიკური დისკებისა და შტამპების წარმოება
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	საავტორო უფლების დარღვევის აღმოფხვრის შესახებ ბრძანებულების (თავი 544) 5(1), 5(2)(c)(v) და 30 სექციები
ღონისძიების მოკლე აღწერა:	საავტორო უფლების დარღვევის აღმოფხვრის შესახებ ბრძანებულების (თავი 544) ქვეშ ოპტიკური დისკებისა და შტამპების წარმოების ლიცენზიისათვის განაცხადის გასაკეთებლად, განმცხადებელი უნდა იყოს ჰონგ კონგ, ჩინეთის რეზიდენტი ჰონგ კონგ, ჩინეთის მოქმედი საიდენტიფიკაციო ბარათით.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	საავტორო უფლებების დაცვის ეფექტური აღსრულების უზრუნველყოფა.

ძალაში არ არის

სექტორი:	სამთო-მოპოვებითი მრეწველობა
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	სამთო-მოპოვებითი მრეწველობის შესახებ ბრძანებულების (თავი 285) 7(1) სექცია
ღონისძიების მოკლე აღწერა:	როდესაც საძიებო ან მოპოვების ლიცენზიის მფლობელი და ლიცენზიის მოიჯარე არ არიან ჰონგ კონგ, ჩინეთის რეზიდენტები, მათ უნდა ყავდეთ ჰონგ კონგ, ჩინეთის რეზიდენტი სათანადოდ უფლებამოსილი ადვოკატი, დამოწმებული მიწის დირექტორის მიერ, ვისაც ექნება სრული უფლებამოსილება წარმოადგინოს ლიცენზიის მფლობელი ან მისი მოიჯარე ლიცენზიასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	სამთო მოპოვებელი მრეწველობის მარეგულირებელი ზომების ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფა.

ძალაში არ არის

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	-
ღონისძიების მოკლე აღწერა:	ჰონგ კონგ, ჩინეთი უფლებას იტოვებს მიიღოს ან შეინარჩუნოს ნებისმიერი ზომა ჰონგ კონგ, ჩინეთში მიწისა და ქონების შეძენასთან ან ფლობასთან დაკავშირებით.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	ჰონგ კონგ, ჩინეთში მიწისა და ქონების შეძენასთან ან ფლობასთან დაკავშირებული ზომების პოლიტიკის მოქნილობის უზრუნველყოფა.

ძალაში არ არის

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	-
ღონისძიების მოკლე აღწერა:	ჰონგ კონგ, ჩინეთი იტოვებს უფლებას მიიღოს ან შეინარჩუნოს ნებისმიერი ზომა ჰონგ კონგ, ჩინეთის მიერ გამოცემული ობლიგაციების, თამასუქების, ხელწერილის, ან სხვა სახის სავალო ვალდებულებების სახით ფასიანი ქაღალდების ან ინსტრუმენტების მეორე მხარის ფიზიკური პირების მიერ შექმნა, გაყიდვა ან სხვა სახით განკარგვასთან დაკავშირებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების ფარგლებში ჰონგ კონგ, ჩინეთის ვალდებულებებს.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	ჰონგ კონგ, ჩინეთის მიერ გამოცემულ ობლიგაციებთან, თამასუქებთან, ხელწერილთან, ან სხვა სახის სავალო ვალდებულებების სახით ფასიანი ქაღალდებთან ან ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ზომების პოლიტიკის მოქნილობის უზრუნველყოფა.

ძალაში არ არის

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	-
ღონისძიების მოკლე აღწერა:	ჰონგ კონგ, ჩინეთი იტოვებს უფლებას მიიღოს ან შეინარჩუნოს ნებისმიერი ზომა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კორპორატიული პირების ან აქტივების პრივატიზებასთან ან გასხვისებასთან დაკავშირებით.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კორპორატიული პირების ან აქტივების პრივატიზებასთან ან გასხვისებასთან დაკავშირებული ზომების პოლიტიკის მოქნილობის უზრუნველყოფა.

ძალაში არ არის

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	-
ღონისძიების მოკლე აღწერა:	ჰონგ კონგ, ჩინეთი იტოვებს უფლებას მიიღოს ან შეინარჩუნოს ნებისმიერი ზომა სუბსიდიებთან და გრანტებთან, მათ შორის მთავრობის მხარდაჭერილ სესხებთან, გარანტიებთან და დაზღვევასთან, დაკავშირებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების ფარგლებში ჰონგ კონგ, ჩინეთის ვალდებულებებს.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	სუბსიდიებთან და გრანტებთან, მათ შორის მთავრობის მხარდაჭერილ სესხებთან, გარანტიებთან და დაზღვევასთან, დაკავშირებული ზომების პოლიტიკის მოქნილობის უზრუნველყოფა, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების ფარგლებში ჰონგ კონგ, ჩინეთის ვალდებულებებს.

ძალაში არ არის

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	-
ღონისძიების მოკლე აღწერა:	ჰონგ კონგ, ჩინეთი იტოვებს უფლებას მიიღოს ან შეინარჩუნოს ნებისმიერი ზომა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების ფარგლებში ჰონგ კონგ, ჩინეთის ვალდებულებებს.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ზომების პოლიტიკის მოქნილობის უზრუნველყოფა, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების ფარგლებში ჰონგ კონგ, ჩინეთის ვალდებულებებს.

ძალაში არ არის

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	-
ღონისძიების მოკლე აღწერა:	ჰონგ კონგ, ჩინეთი იტოვებს უფლებას მიიღოს ან შეინარჩუნოს ნებისმიერი ზომა საგადასახადო სფეროში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების ფარგლებში ჰონგ კონგ, ჩინეთის ვალდებულებებს.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	გადასახადებთან დაკავშირებული ზომების პოლიტიკის მოქნილობის უზრუნველყოფა, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების ფარგლებში ჰონგ კონგ, ჩინეთის ვალდებულებებს.